



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150  
0112 თბილისი, საქართველო  
+995 32 2439503 / +995 32 2439510  
info@nea.gov.ge  
nea.gov.ge

02 აპრილი 2024



N 21/3334

შპს „ეკომეტრს“

მის: ქ. კასპი, დავით აღმაშენებლის ქ., N138

ელ. ფოსტა: [info@ecometer.org.ge](mailto:info@ecometer.org.ge)

### სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 20 მარტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება N3009, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში თევზის მოშენების მიზნით აკვაკულტურის მეურნეობის (წყლის შესაკავებელი ნაგებობა) მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილე პირების კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია, მათ მიერ მომზადებული საკითხების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხები, მათ შორის:
  - ზოოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე, მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების საკითხებზე. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად. აღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვროს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და შემუშავდეს მონიტორინგის გეგმა, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;
  - ინფორმაცია თევზების საკვებით მომარაგების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში პროექტის არაქმედების ალტერნატივის განხილვა მოიცავს მხოლოდ პროექტის განხორციელებით გამოწვეულ სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის განხილვას, ხოლო ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტის განხილვა მოიცავს შერჩეული ტერიტორიის დადებითი მხარეების განხილვას. ამასთან, ყველა განხილული ალტერნატიული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი

განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ. ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საქმიანობის შესაძლო ალტერნატივების შედარებითი ანალიზი და შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის სათანადო დასაბუთება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების და გარემოსდაცვითი კუთხით;

- გზშ-ის ანგარიში მოიცავს ურთიერთშეუსაბამო ინფორმაციებს, კერძოდ ანგარიშში მითითებულია, რომ ექვსივე ტბორის მოწყობის შემდგომ, წარმოიქმნება დაახლოებით 58 800 მ<sup>3</sup> გრუნტი, საიდანაც 4 680 მ<sup>3</sup> გამოყენებული იქნება ტბორების ირგვლივ შემოზვინვის მოსაწყობად, ხოლო დარჩენილი 54 120 მ<sup>3</sup> გრუნტი გატანილი იქნება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ს/კ: 67.01.54.339; 67.01.54.338, რომლებიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტბორების მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია ექსკავირებული გრუნტის წარმოქმნა, თუმცა აღსანიშნავია რომ გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება ტბორების გარშემო შემადღების მოსაწყობად, ხოლო დარჩენილი ნაწილი, დროებითი განთავსების მიზნით, გატანილი იქნება კომპანიის მიერ იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, ხოლო ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, მისი შემდგომი მართვა მოხდება სახელმწიფოს მიერ. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით საპროექტო ტერიტორია (მაგ: წყალაღების არხი, მისასვლელი გზები) კვეთს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შეთანხმების ამსახველი ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის დაგეგმილი საქმიანობის შემადგენელი ობიექტების Shp ფაილები, რომელთა ნაწილი წარმოდგენილია ხაზობრივ ფენაში. იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილი საქმიანობის შემადგენელი ობიექტების მოსაწყობად საჭირო იქნება გარკვეული ფართობის ათვისება, Shp ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე პოლიგონურ ფენაში;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი რეზერვუარების ერთმანეთთან დამაკავშირებელი არხების და მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის (გრუნტი) განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) Shp ფაილები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური ტყით სარგებლობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია წარდგენილია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას, საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები, რაც სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მდ. მტკვრის საინჟინრო ჰიდროლოგიური მახასიათებლები, მათ შორის მდ. მტკვრის საშუალო მრავალწლიური ხარჯი წყალაღების კვეთში, ეკოლოგიური და საანგარიშო ხარჯები, თუმცა მითითებული არ არის მოცულობის საზომი ერთეულები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

